

ვებ-გვერდზე <https://www.pashabank.ge/> განთავსებულ „გენერალურ ხელშეკრულებაში“
საკრედიტო მომსახურების შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალა ვებ-გვერდზე - <https://www.pashabank.ge/> -
განთავსებული „გენერალურ ხელშეკრულებაში“ საკრედიტო მომსახურების შესახებ კერძოდ:

1. 4.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4.1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბანკი უფლებამოსილია მის მიერ გაცემული საბანკო პროდუქტის მსესხებლის საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს, გარდა ნარჩენი ძირის დაფარვისა, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო და/ან პირგასამტეხლო, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგი ოდენობით:“

2. 4.1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4.1¹-4.1⁶ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

4.1¹ ბანკის მიერ გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში, ბანკი მსესხებელ ფიზიკურ პირს, ასევე, მსესხებელს (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 (ორ მილიონ) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, დააკისრებს პირგასამტეხლოს თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა.

4.1² 4.1¹ პუნქტით განსაზღვრული პირობა ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტის ეროვნული ვალუტითა ან/და უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის უცხოური ვალუტით რეფინანსირების შემთხვევებზე.

4.1³. ბანკის მიერ გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში მსესხებელს, რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ბანკი დააკისრებს პირგასამტეხლოს 4.1. პუნქტით განსაზღვრული ოდენობით .

4.1⁴ ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტალური ოპერაციების (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში, მომხმარებელ ფიზიკურ პირს, ასევე, კლიენტს (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში არ აღემატება 2,000,000 (ორ მილიონ) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის დოკუმენტალური ოპერაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა.

4.1⁵ ბანკის მის მიერ გაცემული დოკუმენტალური ოპერაციების (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში, მომხმარებელს (გარდა ფიზიკური პირისა), რომლის ვალდებულებების ჯამური მოცულობა ბანკში აღემატება 2,000,000 (ორ მილიონ) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს

პირგასამტეხლო წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის დოკუმენტალური ოპერაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის არაუმეტეს 2%-ის ოდენობით.

4.1⁶ ნებისმიერ შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილ ვადაზე დასარიცხი პროცენტის ან დოკუმენტალური ოპერაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკომისიოს თანხას.”

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რედაქცია ძალაში შედის 2025 წლის 1 მაისიდან.

გამოქვეყნების თარიღი: 2025 წლის 22 აპრილი.